№ 967 პარასკევი, 19 ნოემბერი. 1896—1899 პარასკევი, 19 ნოემბერი. № 967

კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაბეჭდათ მიმართავენ რედაქციას დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—7
მდე „ც. ფ. სახ.“ წიგნის მაღაზიაში
ხელ-მოუწერლად წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთ თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 1 მან. 50 კაპ.

ქართული თეატრი
კვირას, 21 ნოემბერს,
ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ლარიბ-ლატაკნი

მელოდრამა 5 მოქმედ. პროლოგითა და ეპილოგითა, თარგმანი ვ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძე, გარელი, ვაშაკიძე, კავთელი, წერეთელი; ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, ურუშაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ძ. მესხი.

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, ბენეფისი ვ. აბაშიძისა. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „ქორწილი სოფლად“—ქართული ოპერეტკა ცეკვა-სიმღერებით.

კვირას, 21 ს ნოემბერს, დანიშნულია კრება „პურ-ღვინოში“ ქართველთა ... ლებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლისა“

კრებას უნდა მოხსენდეს „შუამავლის“ მაღაზიის უკეთესს ადგილზედ გადატანისა და მის გაუმჯობესო გაფართოებაზედ. კრება გაგრძელებაა ამ თვის 7 დსა კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს.

წევრთ ამხანაგობისას მოწვევის ცალკე ბარათი არ გაეგზავნებათ.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ზურაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Гѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

** როგორც გაზ. „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ, საიმპერატორო სასახლის ეგერმეისტერს თავ. გიორგი დავითის ძეს შერვაშიძეს ებოძა გოფმეისტრობა მის საიმპერატორო უდიდებულესობასთან დედოფალ მარია თეოდორეს ასულთან.

** უბედურება რკინის გზაზედ. ვატყობინებთ დაწვრილებით ამბავს შესახებ უბედურებისა კავკასიის რკინის გზაზე. როგორც გაზეთი „კავკაზი“ სწერს: „17 ნოემბერს, რკინის გზის სადგურების მცხეთისა და ქსნის შუა მოხდა უბედურება რკინის გზის მატარებლისა. № 21, რომელიც მიდიოდა ტფილისიდან ქ. ბათომში. უბედურება მოხდა ძეგვის ხიდზე (მცხეთიდან რვა ვერსია) ეს მატარებელი გამოვიდა ტფილისიდან 8 საათზე და 30 წამზე, მცხეთაში დაიგვიანა და იქიდან გავიდა 12 ს. 25 წამზე. სხვათა შორის, მემანქანეს უთხრეს რომ გზა წახდენილია და უნდა ნელა იაროს, ასე რომ საათში 20 ვერსზე მეტი არ გაექცეოდა. ამ დროს ძეგვის ხიდზე გზის ხეებს (შპალებს) უცვლიდნენ. ამ ხეების გამოცვლა უნდა გაეთავებინათ სულ რამდენიმე წამში. მემანქანეს მატარებელი გამოუჩქარებია, როგორც ამბობენ ოცდა ათის ვერსის სიჩქარით, ასე რომ მატარებელი გაცილებით ადრე მოვიდა ხიდთან. მცხეთის მხრიდან ხიდის შესავალში აღებული იყო ერთი ფიცარი. ამ ადგილიდან კარგა სიშორეზე გამწკრივებულები იყვნენ ყარაულები სხვა და სხვა ნიშნებით, რომლითაც მომავალი მატარებელი უნდა შაეჩერებინათ. მატარებელი, როგორც ვსთქვით, ძალიან ჩქარა მოდიოდა, ბურუსი იდგა და თოვლიც მოდიოდა. ისეთი ბურუსი იყო რომ ადამიანს 20 საჟენის მანძილზედ ვერ გაარჩევდით. ყარაულებმა საკრავებით ანიშნეს, მაგრამ მემანქანეს ვერას გზით ვერ გააგონეს. კინაღამ ეს ყარაულებიც მატარებელმა არ გაიტანა, რომ თავისათვის არ ეშველათ, მაგრამ მატარებელი ვერ შეაჩერებინეს, მემანქანემ ეს ხმაურობა შეამჩნია მხოლოდ მაშინ, როცა ხიდთან მივიდა, ეცადა უკან დაეწია მთელი მატარებელი, მაგრამ გვიანღა იყო ლოკომოტივი ორის ვაგონით მდ. ქვაბში ჩაცვივდნენ; ორი ვაგონიც ჩამოეკიდნენ ხიდის გვერდებზედ, მარჯვნივ და მარცხნივ, ასე რომ ხიდის ოთხივე მხრის მოაჯირები სულ დაიმტვრა. ამის გარდა სხვა რამდენიმე ვაგონიც დაშავდა. ამ უბედურების მსხვერპლათ გახდნენ მემანქანე ამ მატარებლისა გოლუბენკო და მისი თანაშემწე რუენცი, დაჭრილია (ფეხი გადატეხილი აქვს) გზის ყარაულ პავლე იაძე. ამ მატარებლის ვაგონში ისხდნენ 196 სამხედრო კაცი. ესენი სუყველანი გადარჩნენ, რადგანაც სუყველანი უკანა ვაგონებში ისხდნენ.

ორისნახევარ საათზე ტფილისიდგან გავიდნენ უბედურების ადგილზე რკინის გზის გამგეობა, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ე. პ. ნიმანდერი, ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ვ. ნ. აბელი, სასამართლოს ბრალმდებელი ნ. ა. გლაგოლიევი, ჟანდარმების უფროსი პოლკოვნიკი კარამზინი და რამდენიმე ექიმი შემდეგ დაესწრო აგრეთვე შტაბის უფროსი ღენერალ-მაიორი ბელიავსკი. ამ დღეს ტფილისის სადგური სულ გაიჭედა ხალხით. ესენი ელოდნენ მატარებლის დაბრუნებას და დაწვრილებითი ამბის გაგებას. მატარებელი ჯარის ხალხით დაბრუნდა ცხრისნახევარ საათზე საღამოთი“.

** შემდეგი ქართული წარმოდგენა იქნება გამართული კვირას, 21 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება მელოდრამა 5 მოქმედებათ პროლოგითა და ეპილოგითა, თარგმნილი ვ. ლ. გუნიას მიერ, პარიზის „ლარიბ-ლატაკნი“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები ჩვენის სცენისა.

** ანგარიში საქველ-მოქმედო წარმოდგენისა. 1 და 2 სქალებო გიმნაზიების მოწაფეთა სასარგებლოთ 2 ამ თვეს გამართული იყო საოპერატო წარმოდგენა. შემოსავალი ჰქონიათ შემოწირულებით 2,093 მან. 75 კაპ., გასავალი 784 მ. 64 კ., წმინდა შემოსავალი დარჩენილა 1,309 მ. 11 კ.

*** კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა მოხდება ტფილისის ოლქის სასამართლოს შენობაში 20 ამ თვეს, საღამოს 8 საათზე. ამ კრებას შეიძლება კერძო პირებიც დაესწრნენ.

*** **დასამტკიცებლათ წარდგენილია** ქალაქის თავისაგან ტფილისის გუბერნატორთან წესდება ქალაქის ვეტერინარებისა, წარდგენილია აგრეთვე ახალი ნიხრი ძროხისა, ცხვრისა და ღორის ხორცზე.

*** **ქალაქის შესავალ-გასავლის აღრიცხვა.** ქალაქის 1900 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს შემდეგს მორიგ სხდომაზე.

*** **ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე** სენატორი ს. ბ. გრსკი ტფილისში დაბრუნდა.

*** **საabრეშუმო სადგურის მეცადინეობაზედ.** ტფილისის საabრეშუმო სადგური ამ ჟამად იკვლევს სხვა და სხვა კაცთა და ფირმებისაგან წარდგენილ აბრეშუმის თესლს, რომელიც საფრანგეთიდგანა და ოსმალეთიდგან მიუღიათ.

*** **სასწავლებელი ბელინსკის სახელით.** ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ნება დართულ იქმნა ბელინსკის სახლი დაერქვას ანდრეევისა და კირკას ქუჩების კუთხეში მყოფ საქალაქო სკოლასა.

*** **ფასი ვერის ბორანზე.** მთავრობას შესაძლებელად უცვნია სამი კაპეიკის გარდასახადი დაწესდეს თვითეულ მგზავრზე დიდუბისა და ვერის ბორანით მტკვარზე გასვლისათვის.

**„შუამავლის" კრება.** კვირას 21-ს ნოემბერსა დანიშნულია კრება „პურ-ღვინოში". ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობისა „შუამავლისა"; კრებას უნდა მოხსენდეს „შუამავლის" მაღაზიის უკეთესს ადგილზედ გადატანისა და მისს გაუმჯობესო-გაფართოებაზედ. კრება გაგრძელდება ამ თვის 7-დისა კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს.

წევრთ ამხანაგობისას მოწვევის ცალკე ბარათი არ გაეგზავნებათ.

*** **ახალ მასწავლებელზე.** საერო სასწავლებლების დირექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას რომ, რადგანაც ვერის სასწავლებლის მასწავლებელი ქალი ტურსკისა დანიშნულ იქმნა ქ. სიღნაღის საქალებო სასწავლებლისა, უნდა დანიშნულ იყოს ახალი მასწავლებელი ქალი, რომელიც უნდა წარადგინოს ქალაქის გამგეობას დასამტკიცებლად.

*** **უწინდელი შიოევის ქარვასლა.** ქალაქის გამგეობა აძლევს ქირით უწინდელი შიოევის ქარვასლას. ეხლა ეს შენობა ეკუთვნის ქალაქს და სრულებით გადაკეთებული და გაახლებულია.

*** **აგრონომების წასვლა კახეთში.** 17-ს ამ თვის ტფილისიდგან გავიდნენ კახეთში რამდენიმე აგრონომი ვენახების შესამოწმებლად და დასათვალიერებლად. ამათ თავსმჯდომარეთ იქნება სამეურნეო საზოგადოების ინსპექტორი ვ. ნ. გევსკი, რომელიც გუშინ 18 ს ამ თვეს გაემგზავრა კახეთისაკენ.

*** **ბრმათა სასწავლებლის ანგარიში.** 1-ს ამ წლის ოკტომბრამდის ხსენებულ სასწავლებლის კომისიას ჰქონია 23,896 მან. 81 კ, ოკტომბერში შემოსულა კიდევ 11,997 მან. 81 კ., ასე რომ სულ არის 35,894 მან. 62 კ.. ამავე თვეში დახარჯულია 12,620 მან 8 კ., პირველს ნოემბრისათვის დარჩა 16,274 მან. 54 კ.

თვალის საავადმყოფოში ოკტომბრის თვეში ამ წლისა ახალი ავადმყოფი იყო 462 ბავშვი; მთელს წელიწადში იყვნენ ავადმყოფები 3,583, ამათში მოხდა 108 ოპერაცია.

*** **არჩევანები.** წარმომადგენლებისა კოჯრისა დანიშნულია ქალაქის გამგეობის შენობაში 28-ს ამ თვეს

*** **მთავარ-მმართებლის კანცელარიის მმართველ.** მთავარ-მმართებლის კანცელარიამ სთხოვა მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულს, რაც შეიძლება საჩქაროდ წარმოგვიდგინეთ ცნობები ფილოქსერისაგან დაზიანებულ ვენახების შესახებ და ამასთან გვაცნობეთ ფილოქსერის გავრცელების მიმართულება, ფილოქსერიან ვენახების საზოგადო სივრცე და საზოგადოდ მოგვაწოდეთ ყოველგვარი ცნობები ამ საგნის შესახებაო. ეს საგნები მოთხოვნილ იქმნა იმის გამო, რომ მთავარ-მმართებლის საბჭო ამ ცოტა ხანში განიხილავს ფილოქსერისაგან ვენახების დაზღვევის საქმეს.

# სამეცნიერო ცნობა

როგორც ერთს ბრესლაველს ექიმს გამოუკვლევია წვერში საშინლად ბუდობენ თურმე სხვა და სხვა მიკრობები და ბაცილები. ეს ექიმი ურჩევს ყველა ქირურგს ამიერიდგან წვერი აღარ ატარონ, ან ოპერაციის დროს ამ ექიმის მიერ გამოგონილი აფარებული (მასკა) გაიკეთონ ხოლმე. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, ეჭვი არ არის, ქირურგებმაც არტისტებსა და კათოლიკების მღვდლებს უნდა მიჰბაძონ და იმათსავით უწვერ-ულვაშო იარონ.

# სამკურნალო ცნობა

ამ ორის თვის წინად ერთს ახალგაზდა იტალიელს ჩხუბი მოსვლია. ჩხუბის დროს ამ ახალგაზდასთვის ხანჯალი გულში ჩაურტყამთ და ძალიან მძიმედ დაუჭრიათ. ასეთ ჭრილობას ჩვეულებრივ სიკვდილი მოსდევს და დღემდის მაგალითი არა ყოფილა, რომ გულში დაჭრილი კაცი ექიმებს მორჩენოთ. როგორც ერთი გაზეთი იუწყება, ზემოხსენებული იტალიელი დროზედ მოუყვანიათ საავადმყოფოში, სისხლი თუმცა ბევრი დაეკარგა, მაგრამ სიცოცხლეს მაინც ჯერ არ გამოსალმებოდა. ჭრილობა გულში ერთის სანტიმეტრის სიღრმეზედ აღმოჩნდა. ექიმს, გაუშინჯნია რა ავადმყოფი, ამდგარა და გაუკერია ჭრილობა, ამ საშუალებას საუკეთესო შედეგი მოჰყოლია. 49 დღის შემდეგ დაჭრილი იტალიელი სრულიად განკურნებულა და საავადმყოფოდგან გასულა.

## სასამართლოს მატიანე

**გ. დ. გუნიას საქმე.** 13 მომავალ დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასარჩევათ საქმე ჩვენის რედაქტორისა ვ. ლ. გუნიასი, რომელსაც „ტფილისის ფურცლის" თანამშრომელი ნოვუსი (დ. ი. კეზელი) უჩივის ვითომ და ცილისწამებაზე 2 ნაწ. 1535 მუხ. დამნაშავეს დაიცავს ნაფიცი ვექილი გ. ბ. გვაზავა; კეზელის მხრიდან გამოვა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ივ. მ. ახუმოვი.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან").

**ლონდონი.** როგორც პიტერმარიცბურგიდგან დეპეშით იუწყებიან, ლედი სმიტიდგან ცნობა მოვიდა; რომ იქ მშვიდობიანობა არისო.

როგორც ბულლერი იუწყება, გრუსპაოს ბრძოლაში საზღვაო ბრიგადამ 189 კაცამდე დაჰკარგა.

**კაპშტადტი.** დღეს მოვიდა აქ გემი „Bouartien" უცხო-სახელმწიფოთა სამხედრო აგენტებითა.

**ბერლინი.** „Deut Zeit."-ს დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდგან, კრიუგერმა და შტეინმა მისწერეს ჟუბერსა და კრონიეს, რომ თქვენ ჯარს ნუ გაჰფანტავთ და სხვა და სხვა ადგილის ალებას ნუ გამოუდგებითო, ეცადეთ ერთობრივ იმოქმედოთო.

ჟუბერმა, რათა ინგლისელებს გასაქცევი გზა შეუკრას, თავისი ჯარი სამად გაჰყო: ერთი ნაწილი ლედი-სმიტთან დაიყენა, მეორე მდინარე ტუგელთან და მესამე პიტერმარიცბურგ-ესტკორტის აღმოსავლეთით. ასევე მოიქცა კრონიე დასავლეთით კიმბერლეისთან.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ქირით გაიცემა მთლათ ზემო სართული საქალაქო სახლისა, უწინდელი შიოევის ახლად-გადაკეთებულ ქარვასლისა, რომელიც იმყოფება აბანოს კარებთან. შეიძლება გაქირავდეს მთელი შენობა ქარვასლისა.

პირობები [illegible] გება შეიძლება ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში მუდამ დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის.

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

## „ბ ე რ ა ნ ჟ ე

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის ;გამოცემული შეიცავს 4 საუკეთესო ლექს და0ს ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც." ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Ноября 1899 г. სტ. „ცნ. ფურ.") გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია